ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4151685

ნომერი: AR1625704

თარიღი : 28.08.2018

გაცემის თარიღი : 04.09.2018

გაცნობის თარიღი : 04.09.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, პეტრე ქავთარაძის ქუჩა, N 20დ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამაზი მურვანიძე პ/ნ 01015021376
- თბილისი ნ.სულხანიშვილის II შეს. N 8

ორგანიზაცია:

- არქიკოლეგიუმი კოდი: 405004043

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- IV კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 2732862
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 22.07.2016

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების

წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული 2018 წლის 28 აგვისტოს N AR1625704 განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

1. აღნიშნული საკითხის განსახილველად, წარმოსადგენია ფოტომასალა, რომელზეც იქნება მონიშნული კორექტირებული კვანძები და მითითებული კორექტირების დასახელება ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 26.07.2018წ N№-19/01181162443-17 ბრძანებაში მითითებული ჩამონათვალის თანმიმდევრობით.

2. საჭიროა წარმოდგენილი იქნას შპს გლობალფარმის დირექტორების მიერ განცხადებელზე გაცემული მინდობილობა ან დირექტორები დარეგისტრირდნენ თანაგანმცხადებლებად.

3. წარმოსადგენია პანდუსების ანაზომები გაბარიტული ზომები და დახრის პროცენტულობის ჩვენებით, დამოწმებული ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ.

4. წარმოსადგენია 5.60 და +10,85 ნიშნულებზე გეგმების ანაზომი დამოწმებული ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ.

5. შენობა და საყრდენი კედელი განათავსეთ საკადასტრო საზღვრებში, რაც უნდა იქნას დადასტურებული ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ. და შესაბამისი ცვლილება უნდა იქნას შეტანილი ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 26.07.2018წ N№-19/01181162443-17 ბრძანებაში.

6. 0.00 ნიშნულზე წარმოსადგენია ანაზომი სადაც დატანილი იქნება ასევე საქვაბე ფართის დაფიქსირებით და კეთილმოწყობა(გამწვანება ფართოების მითითებით), დამოწმებული ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ.

7. ზემოაღნიშნული 14-39 ის 37-ე მუხლის, მე-5 პუნქტის თანახმად აკრძალულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მიწის ნაკვეთის შემოღობვა ან/და მიწის ნაკვეთის შესასვლელებთან ბარიერების მოწყობა. შესაბამისად უნდა იქნას გაუქმებული მოწყობილი ბარიერი, რაც ასევე უნდა იქნას დადასტურებული ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 26.07.2018წ N№-19/01181162443-17 ბრძანებაში ცვლილების შეტანით.

გაითვალისწინეთ, იმ შემთხვევაში თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება და მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულყოფილი სახით წარმოდგენა, აღნიშნული განაცხადი დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.